



მეოცე საუკუნის დასაწყისში ფილმები მხოლოდ ხუთი წლის ისტორიას ითვლიდნენ. მათ აჩვენებდნენ ბაზრობის მოედნებზე, მუსიკალურ დარბაზებში ან ნებისმიერ ისეთ ადგილას, სადაც ეკრანის დაყენება და ოთახის ჩაბნელება იყო შესაძლებელი. ფილმის თემები ადგილობრივ სცენებსა და აქტივობებს, უცხო ქვეყნების ხედებს, მოკლე კომედიებსა და სიახლეებს მოიცავდა.

ფილმებს თან ახლდა ლექციები, მუსიკა და მაყურებლის დიდი ჩართულობა. მიუხედავად იმისა, რომ მათ სინქრონიზებული დიალოგი არ ჰქონდათ, ისინი არ წარმოადგენდნენ "მუნჯ ფილმებს", როგორც მათ ზოგჯერ აღწერდნენ.

თავდაპირველად, ის სხვა არაფერი იყო, თუ არა მოდა, ბაზრობებზე გამოფენილი სიახლე, მაგრამ სწრაფად გახდა პოპულარული გართობის დომინანტური ფორმა. ბილეთების ფასები უკიდურესად იაფი, ერთი ან ორი პენსი იყო, რაც ყველაზე ღარიბ სიამოვნების მამიებლებს ემსახურებოდა.

ფილმების ჩვენების მუდმივი ადგილის იდეა მხოლოდ 1906 წელს გაჩნდა, როდესაც რამდენიმე კინოთეატრი, ანუ „ელექტრო თეატრი“ გაიხსნა.

ეს იყო ექსპერიმენტების დრო კინორეჟისორებთან, რომელთაც სურდათ გამოეკვლიათ ამ ახალი საშუალების შესაძლებლობები. კინორეჟისორები მოკლე, ორწუთიან ფილმს გასცდნენ და ეკრანზე ისტორიების თხრობის ახალი გზების აღმოჩენა დაიწყეს.

დოკუმენტური კინორეჟისორები საგარ მიტჩელი და ჯეიმს კენიონი 1900-იან წლებში, ბრიტანეთში, ერთ-ერთი უმსხვილესი კინოპროდიუსერები იყვნენ, რომლებიც იღებდნენ ფილმებს სათაურით: „ჩვენ ვიღებთ და ვქმნით მათ“. ისინი იღებდნენ ისეთ ყოველდღიური ცხოვრების სცენებს, როგორიცაა გასართობი ბაზრობები, სპორტული ღონისძიებები, სკოლები, ტრანსპორტი და ქარხნების მუშები, შემდეგ კი შედეგებს ადგილობრივ აუდიტორიას აჩვენებდნენ, რომელიც პირველად ხედავდა საკუთარ თავს ფილმებში, ლოზუნგით "ადგილობრივი ფილმები ადგილობრივი ხალხისთვის".

1895-დან 1907 წლების შუალედში, ბრიტანეთში გადაღებული უამრავი ფილმიდან ყველაზე ნაყოფიერი და გავლენიანი იყო ბრაიტონელი კინემატოგრაფისტების

ჯგუფი, რომლებმაც დაიწყეს მათი ფილმების რედაქტირება/მონტაჟი და გაფერადება, ასევე ტრიუკის ფოტოგრაფიის შესწავლა თავიანთი ისტორიების გასაუმჯობესებლად. ამ ჯგუფის წამყვანი წევრები იყვნენ საპროექციო ფარნის ყოფილი ლექტორი, შემდგომში კინორეჟისორი ჯორჯ ალბერტ სმიტი და ჯეიმს უილიამსონი.

სმიტი სოციალ-რეალიზმის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი იყო; მისი 1901 წლის ფილმი "ღარიბი ჯოს სიკვდილი", რომელიც ყველაზე ადრეული შემორჩენილი ფილმია, დაფუძნებულია დიკენსის პერსონაჟზე და ადაპტირებულია მისი რომანიდან „ცივი სახლი“.

უილიამსონი, რომელმაც ასევე 1901 წელს პირველმა საუცხოოდ გამოიყენა ჯვარედინი მონტაჟი მის ფილმში „ცეცხლი!“, რამაც უპრეცედენტოდ მრავალჯერადი კადრების ერთად დამონტაჟებით დახვეწა ახალი ფილმის საფუძვლები და დაეხმარა ქრონოლოგიური თანმიმდევრობის და ემოციური დახვეწილობის შექმნაში.

ორივე კინორეჟისორი ბრიტანეთის მიერ ფილმის დაბადებაში შეტანილი წვლილის წინა რიგებში გახლდათ, როგორც ერთკადრიანი დაუმონტაჟებელი ფილმების პერიოდში, ასევე მრავალ კადრიან დამონტაჟებულ ფილმებზე გადასვლის შემდეგ.

სესილ ჰეპვორტი ასევე კინოს პიონერი იყო, რომელმაც წარმატებით გადაიღო "სცენური ფილმები" და "დოკუმენტური ფილმები", როგორიცაა 1901 წლის "დედოფალ ვიქტორიას დაკრძალვა". ჩვეულებრივ, ეს ფილმები, 1900 წლამდე ერთ წუთზე ნაკლები ხანგრძლივობის იყო, მას შემდეგ კი, ფილმის საშუალო ხანგრძლივობა 2-4 წუთამდე გაიზარდა.

ჰეპვორტის კინოს ენის სტილი, როგორც წესი, ფრონტალური დადგმა მოქმედებით, რომელიც შესრულებულია ერთ გრძელ კადრში, გაგრძელდა კლასიკური ნარატიული სისტემის პოპულარიზაციამდე. 1903 წელს, ჰეპვორტისა და პერსი სტოუს ერთობლივი რეჟისორობით გადაღებული ალისა საოცრებათა ქვეყანაში, რომელიც ლუის კეროლის ცნობილი ვიქტორიანული 1865 წლის სიურრეალისტური რომანის პირველი ვერსია იყო, ბრიტანეთში შექმნილ ყველაზე გრძელ და ყველაზე ამბიციურ სურათს წარმოადგენდა, რომელიც ვიზუალურ ინფორმაციას სერ ჯონ ტენიელის ნახატებიდან იღებდა. ფილმი სპეციალური ეფექტების გამოყენების გამო დასამახსოვრებელი იყო, მათ შორის ალისას დაპატარავება მრავალი კარის დარბაზში, ასევე თეთრი კურდღლის სახლში ჩარჩენილი ზომაში გადიდებული ალისა, რომელიც დახმარებას ფანჯრიდან ითხოვს.

ხრიკების გარდა, რომელიც ალისას შესაძლებლობას აძლევს დაპატარავდეს, გაიზარდოს და გაქრეს, ამ გამორჩეულმა ფანტაზიამ ასევე შექმნა გარდაქმნები

ჰერცოგინიას ბავშვის ღორად გადასაქცევად, ჩემირის კატის ღობეში მოსათავსებლად და ჩამოშლის ინსცენირებისთვის, რათა გვაჩვენოს სიზმრიდან გამოფხიზლებული ალისა, როდესაც მას სათამაშო კარტის გულის დედოფლის კარისკაცები მისდევენ.

თავად ჰეპვორტი ბაყაყ ფუტმენს თამაშობდა, ხოლო მისი მეუღლე მარგარეტი ერთდროულად თეთრ კურდღელსა და დედოფალს; აქ კიდევ იყო ბლერის, ოჯახის ძაღლის, თვალსაჩინო ეპიზოდური როლი, რომელიც მოგვიანებით, რამდენიმე წლის შემდეგაც პოპულარობით სარგებლობდა ლევინ ფიცჰამონის ფილმში "Rover Rescued by Rover"!

ათწლეულის ბოლოს, ფილმებს უკვე არა მხოლოდ ბაზრობის ატრაქციონებზე უყურებდნენ. უახლოეს წლებში კინოინდუსტრია ცდაიზადებოდა. ფილმები შემთხვევით ლოკაციებში აღარ იქნება ნაჩვენები. სამაგიეროდ, უფრო და უფრო მეტი კინოთეატრი გაიხსნება, რომლებიც გართობის განსხვავებულ სახეს შემოგვთავაზებენ.

Co-funded by the
European Union



Creative
Europe
MEDIA